ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 25

ქ. ქობულეთი

15 ივლისი 2014 წ.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, *ერთის მხრივ ქობულეთის კულტურის ცენტრის დირექტორი ნაირა ვასაძის ლესელიძის 1) (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს* ***"World print"*** *მისი დირექტორი ბენიამინ ჯაველიძის სახით (ქ. ბათუმი,მ.აბაშიძის ქუჩა№ 35 ბ-2) (შემდგომში მიმწოდებელი"),* ვდებთ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ქობულეთის კულტურის ცენტრს დაუმზადოს და მიაწოდოს ღონისძიება(79900000) "ფოლკლორის სიყვარულით"-გურულ - ქობულეთური ფოლკლორის საღამოსათვის მოსაწვევები 100 ცალი თითო 1,70 ლარად(შემდგომში საქონელი), ხოლო "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი დირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

II. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონლის ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მხარეების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით

3.2. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ქობულეთის კულტურის ცენტრის დირექტორი

3.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

3.4. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

III. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 170 (ასსამოცდაათი)ლარი

2.2 "შემსყიდველი" ანგარიშსწორებას განახორციელებს "მიმწოდებლის" მიერ სასაქონლო ზედნადების,ანგარიშფაქტურის და მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ,10 საბანკო დღის განმავლობაში

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

IV ფასები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დაუშვებელია ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

V. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიაწოდოს "შემსყიდველს" საქონელი - "შემსყიდველი"-ს მიერ მოთხოვნილი რაოდენობით;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

გ) გამოუწეროს "შემსყიდველს" სასაქონლო ზედნადები მის მიერ შეძენილი საქონლის რაოდენობისა და ღირებულების შესაბამისად.

5.2. "შემსყიდველი" ვალდებულია

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) "მიმწოდებელთან" ერთად აწარმოოს კონტროლი მიწოდებული საქონლის ხარისხსა და რაოდენობაზე, ასევე საქონლის მიწოდების მიმდინარეობაზე.

VI. განსაკუთრებული პირობები

6.1. საქონლის რაოდენობის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში მათი მიწოდებისა და ანგარიშსწორების ვადები თანხმდება მხარეებს შორის დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.2. "მიმწოდებელი" თუ არ გააფრთხილებს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების გადაჭარბების შესახებ, იგი ვერ მოსთხოვს "შემსყიდველს" გადაჭარბებით მიწოდებული საქონლის ანაზღაურებას.

VII. გარანტიები

7.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, ერთი დღის ვადაში.
7.2. გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსწორებისათვის დამოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელისათვის გადასახდელი თანხიდან.

VIII. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიურიუბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა. შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატება,
8.2. თუ სახელშეკრულებლო ვალდებულების მოლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედების ვადა კომპენსაციის უფლებების გარეშე.
8.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს.

IX. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ადგილზე ახდენს ქობულეთის კულტურის ცენტრის დირექტორი ნაირა ვასაძე
9.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ინსპექტირების განხორციელებისას სამსახური იმოქმედებს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის შესაბამისად

X. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან
10.4. "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ "შემსყიდველი"-სათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით

XII დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ორივე მხარე ვალდებულია წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვიტონ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში"შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებს მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

XIII. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით.
13.4.ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე, ცნობების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმოწერა შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე.
13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

XIV. "შემსყიდველი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1. "შემსყიდველი"-ს მისამართი: ქ. ქობულეთი: ლესელიძის 1
14.2. "შემსყიდველი"-ს საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი"-ს ქობულეთის ფილიალი ბ/კ **LBRTGE22**, ანგ.№ **GE56LB0120113125552000**, საინ.კოდი **247007126**
14.3. შემსყიდველი" – ქობულეთის კულტურის ცენტრი
დირექტორი: ნაირა ვასაძე

XV. "მიმწოდებელი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 "მიმწოდებელი"-ს მისამართი: ქ. ბათუმი,მ.აბაშიძის ქუჩა № 35 ბ-2
15.2. "მიმწოდებელის"-ს საბანკო რეკვიზიტები, სს "პროკრედით ბანკი"-ს ,ბ/კ**MIBGGE22** ანგ.№-**GE58PC0033600100049096**, საიდენ.კოდი № **445423943**
15.3. "მიმწოდებელი" – შპს "**World print**"
დირექტორი: ბენიამინ ჯაველიძე

"შემსყიდველი"
ქობულეთის კულტურის ცენტრი
დირექტორი: /ნ.ვასაძე/

"მიმწოდებელი"
შპს"World print"
დირექტორი: /ბენიამინ ჯაველიძე/